UDC 903.23:2-58
SCOPUS CODE 1204
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-28-37

ენეოლითის ხანის საკულტო-რიტუალური საგნები

ალექსანდრე ნაზღაიძე არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: aleqsandrenazghaidze@gmail.com

ვაჟა სადრაძე არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: vazhasadradze@gmail.com

რეცენზენტები:

მ. ძნელაძე, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: dzneladzemerabi@gmail.com

ნ. ჯავახიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი
E-mail: nikolai.javakhishvili@tsu.ge

ანოტაცია. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ენეოლითის ხანის საკულტო-რიტუალური საგნები სანდო მტკიცებულებაა იმდროინდელი რწმენა-წარმოდგენების და კულტმსახურების შესწავლის საქმეში. თიხის ანთროპომორფული და ზოომორფული ფიგურები – თიხის კვერები, კვირისტავები, თიხის, ქვის, ლითონის ავგაროზები სიმბოლური გამოსახულებებია, რომლებიც დაკავშირებულია ნაყოფიერების, ბუნების და ციური ძალების თაყვანისცემასთან. ამ საგნების უმეტესობა რიტუალური დანიშნულებისაა. მათი დახმარებით ვეცნობით ენეოლითის ხანის ადამიანის სულიერ სამყაროს.

არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ენეოლითის ხანის ადამიანი ნაყოფიერების ღვთაებებს, ბუნების ძალებს და წინაპართა სულებს სცემდა თაყვანს.

არქეოლოგიურად დასტურდება ნაყოფიერების მდედრობითი ღვთაების სიმბოლოები: თიხით ნაძერწი ქალის ფიგურები, რომელთა უმეტესობა კერიის ნაცარში ან კერიასთან ახლოს იყო აღმოჩენილი. ასევე არქეოლოგიურად დასტურდება ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების სიმბოლოები: მამაკაცის ითიფალური გამოსახულება თიხის ჭურჭელზე, ქვის და თიხის ფალოსები, ხარის რქების ფორმის საკურთხეველი, თიხით ნაძერწი ხარის ქანდა-

კება. გვიანი ენეოლითის არქეოლოგიურ მასალებში ცხვრის ქანდაკებებიც გვხვდება, რომელიც ღვთისშვილ კვირიას სიმბოლოდ არის მიჩნეული.

ადგილობრივი სარწმუნოების უმაღლეს ღვთაებათა ტრიადა უკვე გამოკვეთილია საქართველოს გვიანი ენეოლითის ხანის რწმენა-წარმოდგენებში.

არქეოლოგიურად დასტურდება ენეოლითის ხანის ნაყოფიერების ღვთაებათა ასტრალირი წარმოდგენები მზის, მთვარის და ხუთი ვარსკვლავის სიმბოლური გამოსახულებების სახით. ქვის სფერო იმირის გორიდან, თიხის კვირისტავები სხივური ორნამენტით სამელე კლდის მღვიმიდან და ბერიკლდეების ნამოსახლარიდან (როგორც მზის სიმბოლი), სპილენძის ნახევარრკალი ხრამის დიდი გორის ნამოსახლარიდან (როგორც მთვარის სიმბოლო), სამარხის ჭურჭელზე გამოსახული ხუთი კოპი არუხლო I-ის სამაროვანიდან (როგორც ხუთი ცდომილის სიმბოლო).

ენეოლითის ხანის ადამიანს სწამდა ბუნების ძალების და აღიარებდა ბუნებაში კეთილი და ავი სულების არსებობას. კენჭები არუხლოს გორიდან, რომლებზეც გამოსახულია „მომღიმარი“ და „საზარელი“ სახეები, არქეოლოგიურად ადასტურებს ამ რწმენას. თავის დროზე ეს სახეები წითელი ჟანგმიწით ყოფილა შეღებილი, რაც მათ საკულტო დანიშნულებაზე მეტყველებს.

ავგაროზები ავი სულებისგან თავდაცვის საშუალებად იყო მიჩნეული. ქვისა და ძვლის ავგაროზები, აგრეთვე მღვიმის დათვის გახვრეტილი კბილი აღმოჩენილია თეთრი მღვიმის სამლოცველო დარბაზში, გახვრეტილი ეშვი აღმოჩენილია წოფის ნამოსახლარში.

წინაპართა სულებისადმი თაყვანისცემას არქეოლოგიურად ადასტურებს ნაცარში ნაპოვნი თიხის წრიული და ოვალური ფორმის კვერები თეთრი მღვიმიდან და არუხლოს გორიდან, რომლებსაც სწირავდნენ წინაპართა სულებს, მათგან კეთილგანწყობის და მფარველობის მოსაპოვებლად.

საკვანძო სიტყვები: ავგაროზი; ენეოლითის ხანა; ნაყოფიერების ღვთაება; საკულტო საგნები; სამლოცველო; სამლოცველო; ქანდაკება.

შესავალი

საკულტო-რიტუალური საგნები, არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ენეოლითის ხანის საზოგადოების რელიგიური შეხედულებების არსებობისა და მისი თავისებურების შესახებ. ამ საგნების საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმდროინდელი ადამიანის რწმენა-წარმოდგენების და კულტმსახურების შესახებ. სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ბინადარი მიწათმოქმედი, მესაქონლე ტომები, როგორც ჩანს, ეთაყვანებოდნენ მოსავლის და ნაყოფიერების ღვთაებებს, ფუძის და ადგილის მფარველ კეთილ სულებს, ბუნების ძალებს, პატივს სცემდნენ წინაპართა სულებს და თავს იცავდნენ ავი სულებისგან. საკულტო ადგილებში, ნამოსახლარებში, განძებსა და სამარხებში აღმოჩენილი საკულტო დანიშნულების საგნების საშუალებით ვერკვევით იმ პერიოდის საზოგადოების სულიერ სამყაროში, კულტმსახურების დროს შესრულებული რიტუალების არსსა და სიმბოლიკაში.

ძირითადი ნაწილი

ჩვენთვის საინტერესო არქეოლოგიური მასალა, საკულტო-რიტუალური საგნები მრავალგვარია: ღვთაებათა ქანდაკებანი ან რელიეფური გამოსახულებანი, კულტმსახურებაში გამოსაყენებელი და შესაწირი ნივთები, ავგაროზები და საკულტო შინაარსის სამკაულები. ასეთი არტეფაქტები მრავლად გვხვდება საკულტო ძეგლებზე, ნამოსახლარებზე, სამარხებსა და განძებში. ქვემოთ წარმოვადგენთ არქეოლოგიურ მასალას.

ანთროპომორფული ფიგურები ხრამის დიდი გორიდან (ქვემო ქართლი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, ს. ყაჩაღანის მახლობლად, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირი). გორანამოსახლარზე აღმოჩენილია 30-მდე მცირე ზომის (5-6 სმ) თიხის ფიგურა, აქედან ნახევარზე მეტი (17 ფიგურა) ერთ შენობაში იპოვეს. შესაძლებელია, რომ ეს იყო საკულტო დანიშნულების შენობა, ხოლო თიხის ანთროპომორფული ფიგურები მლოცველთა შესაწირავები ნაყოფიერების ღვთაების, დიდი დედის მიმართ. ნამოსახლარის N 1 ნაგებობის კერიაში აღმოჩნდა ღვთაების მცირე ზომის ფიგურა, შიშველი, მჯდომარე, მიდგმული ფეხებით, გამოკვეთილი მკერდით და თეძოებით. ფიგურა თავმოტეხილია, მკლავები არ ჰქონდა (ასეთი გამოიძერწა თავიდანვე). ასეთი ქანდაკებები თავსდებოდა კერიის ნაცარში, როგორც ჩანს, ოჯახის გამრავლების და კეთილდღეობის მიზნით. ნამოსახლარზე აღმოჩენილი ყველა ფიგურა დამტვრეულია. მოხერხდა ერთი ფიგურის აწყობა ნატეხებისგან, რომელიც ასე გამოიყურება: მცირე ზომის (5,6 სმ), მჯდომარე, მიდგმული ფეხებით, გამოკვეთილი მკერდით და თეძოებით, მკლავების გარეშე, თავი კონუსური ფორმის (გ. ჯავახიშვილი, 1984). ამ ნამოსახლარზე ნაპოვნი თიხის ფიგურების თავები ერთმანეთს ჰგავს. სახეები წინაა წამოწეული, პირი და თვალები გამოსახულია ღრმულების სახით. წაწვეტებული თავები, თეთრი ანგობით შეღებილი. ემჩნევა მორკალული წარბები. ხრამის დიდ გორაზე ნაპოვნია მრავალი თიხის ქალის ფიგურა, რომლებიც სავარაუდოდ „დიდ დედას“, ბუნების სიცოცხლის გამჩენს განასახიერებს. (ო. ლორთქიფანიძე, 2022). კერიებსა და კერიების მახლობლად აღმოჩენილი ანთროპომორფული ფიგურები საოჯახო კულტმსახურების და ნაყოფიერების მდედრობითი ბუნების ღვთაების თაყვანისცემას ადასტურებს.

ქანდაკება შულავერის გორიდან (ქვემო ქართლი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. იმირი, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირი). გვიანი ენეოლითის ხანის შულავერის ნამოსახლარზე აღმოჩნდა გამომწვარი თიხის მცირე ზომის ქალის ქანდაკება. შულავერის ნამოსახლარის ქალის ქანდაკება განსხვავდება დღემდე აღმოჩენილი ქალის ყველა ქანდაკებისგან. იგი მაღალია და ტანწვრილი, განიერი თეძოები. სხეულზე ნაჭდევით გამოსახული აქვს თავთავისებრი ორნამენტი. გიორგი ჯავახიშვილის ვარაუდით, შულავერის ქალის ქანდაკებას მუცელზე ნაყოფიერების ხე აქვს გამოსახული (გ. ჯავახიშვილი, 1984). დასაშვებად მიგვაჩნია, რომ შესაძლოა ეს არის ადგილის დედის გამოსახულება (ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ადგილის დედა ახალგაზრდა, ლამაზი, მორთული, „წვრილ-მაღალი“ ქალია). საქართველოს უძველეს ბინადარ მოსახლეობაში ადგილის დედის კულტის არსებობა, ენეოლითის და უფრო ადრეულ ხანაშიც, სავსებით შესაძლებელია.

არუხლოს გორის კენჭები ადამიანის სახეებით (ქვემო ქართლი, სოფ. არახლო, მდ. ხრამის და მდ. მაშავერას შესართავი). არუხლოს გორის ნამოსახლარში აღმოჩნდა მცირე ზომის (6,2 და 6,7 სმ) კენჭები, რომლებზეც გამოსახული იყო ადამიანის სახეები. სახეები გამოყვანილი იყო ამოკაწვრის მეთოდით. ნაკაწრებში ეტყობოდა წითელი ოქრა, რაც კენჭების საკრალურ მნიშვნელობას ადასტურებდა. ერთი სახე არის მკაცრი გამომეტყველების, ხოლო მეორე თითქოს იღიმება. აღმომჩენმა ტ. ჩუბინიშვილმა ერთს პირობითად „საზარელი“, მეორეს კი „კეთილი“ უწოდა (გ. ჯავახიშვილი, 1984). შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სახეების გამომეტყველება შეესაბამება იმდროინდელ რწმენას კეთილი და ავი სულების შესახებ. „კეთილ სულს“ შუბლზემოთ წრიულად ღარი აქვს შემოვლებული, სავარაუდოდ იგი გულსაკიდად გამოიყენებოდა და დამცავი ფუნქცია ჰქონდა.

ჭურჭელი არუხლო I-ის სამაროვნიდან (ქვემო ქართლი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. არუხლო, მდ. მაშავერას და მდ. ხრამის შესართავთან). ნამოსახლარის მახლობლად, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, თანადროულ სამაროვანზე, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა რიტუალური ჭურჭელი. ის არის საშუალო ზომის, წითლად შეღებილი ქილა, რომელსაც ყელზე, ოთხივე მხარეს ვერტიკალურ მწკრივებად გამოსახული აქვს დაძერწილი ხუთ-ხუთი კოპი (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, 1992). ამ შემთხვევაში კოპები შეიძლება ვარსკვლავებს გამოსახავს. ენეოლითის ხანაში უკვე ამჩნევდნენ უძრავ ცაზე განსხვავებული ტრაექტორიით მოძრავ ხუთ ვარსკვლავს (ასეთი ვარაუდი უკვე გამოთქმულია გვარჯილას მღვიმის, პალეოლითური ხანის „მეთაურის კვერთხის“ შემკულობის მიხედვით). მოძრავი ხუთი ვარსკვლავი (ხუთი ცთომილი, სინამდვილეში მზის სისტემის ხუთი პლანეტა), დღესაც მოჩანს და მათი დანახვა შეუიარაღებელი თვალით დღესაც შეიძლება.

დამრგვალებული ქვა იმირის გორის სამლოცველოდან (ქვემო ქართლი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. იმირი, შულავერის ღელის მარცხენა ნაპირი). ნეოლითური ხანის იმირის გორის სამლოცველოში (N 9-10 გაერთიანებული ნაგებობა) კერიის მახლობლად აღმოჩნდა რიტუალური ორმო. ორმოში იდო საგანგებოდ დამრგვალებული, სფერული ფორმის რიყის ქვა (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, 1992). საფიქრებელია, რომ ორმოში შენახული სფერული ქვა, ნაყოფიერების ქალღვთაების სიმბოლოს მზეს განასახიერებდა. საკულტო დანიშნულების სფერული (თეთრი) ქვა ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო სვანეთში, უშგულის თემში, რომელსაც ხატობის დროს დიდი პატივით გამოაბრძანებდნენ ხოლმე. კულტის მსახური ხალსუანი ქვას რომელ მხარესაც მიმართავდა, მლოცველები მის მიმართ თაყვანისცემას გამოხატავდნენ.

თიხის კვირისტავები სამელე კლდის მღვიმიდან (ზემო იმერეთი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზოდის მახლობლად, მდ. ჯრუჭულას მარჯვენა ნაპირი). კარსტული წარმოშობის მღვიმეში (სიგრძე-30 მ, სიგანე-25 მ, სიმაღლე-11 მ) მდინარე ჯრუჭულადან 70 მეტრის სიმაღლეზე გაითხარა სამი კულტურული ფენა. თიხის კვირისტავები სამივე ფენაში აღმოჩნდა. ისინი განსაკუთრებით მრავლად იყო წარმოდგენილი ზედა ფენაში (ენეოლითის ხანა). სავარაუდოდ, კვირისტავები სიცოცხლისა და ნაყოფიერების ღვთაებისადმი შეწირული ნივთებია, რომლის ციური სიმბოლო მზე იყო. ზოგ კვირისტავზე წერტილოვანი ხაზებით გამოყვანილია ბორჯღალის გა-

მოსახულება, რაც კვირისტავების მზესა და დიდ დედასთან კავშირს უფრო ამყარებს. ძეგლი თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევრით (ი. კიკვიძე, 1976; გ. ფხაკაძე, 1992). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კვირისტავებზე გამოსახული ყველა ბორჯღალი წაღმა ბრუნს გამოხატავს. იკვეთება პარალელი არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალას შორის.

საკულტო საგნები თეთრი მღვიმიდან (იმერეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხომულის მახლობლად, ლექვთაძეების ბორცვი). თეთრ მღვიმეს სამი დარბაზი აქვს. შუა დარბაზი მიჩნეულია საკულტო დანიშნულების დარბაზად. აქ აღმოჩნდა თიხის ქანდაკებები, ზოომორფული და ანთროპომორფული (19 ცალი). მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის ცხვრის ფიგურები სჭარბობს. აღმოჩნდა ხარისა და დათვის ფიგურებიც, თიხით ნაძერწი ხარის რქა და ხარის თავი, აგრეთვე კონუსური და ბიკონუსური ფორმის კვირისტავი (დაახ. 70 ცალი). ზოგ კვირისტავს ჰქონდა ნაკაწრი და წერტილოვანი ორნამენტი. გამოთქმულია აზრი, რომ ბიკონუსური ფორმის კვირისტავები შესაძლოა რიტუალური დანიშნულების საგნები ყოფილიყო. აღმოჩნდა თიხით ნაძერწი, მცირე ზომის მრგვალი და ოვალური სარიტუალო კვერები (დიამეტრი-3-5 სმ, სისქე-1-1,5 სმ). ზოგ მათგანს ეტყობა ნამჯის ანაბეჭდები, ნაძერწია კარგად განლექილი თიხისგან. შესაძლოა თიხის კვერები დაკავშირებულია მიცვალებულის კულტთან. ამ კვერებით წინაპართა სულებს პატივს მიაგებდნენ და მათგან კეთილგანწყობის მიღებას ცდილობდნენ (კ. კალანდაძე, 1994). თეთრ მღვიმეში აღმოჩენილია მზის, ხარის და ცხვრის სიმბოლოები ანუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახეზეა დიდი დედის, დიდი მორიგის და ღვთისშვილ კვირიას კულტები ან მათი თაყვანისცემის ადრეული ფორმა, ასევე სავარაუდოა წინაპართა სულების კულტის არსებობა ენეოლითის ხანის გვიან საფეხურზე.

თეთრ მღვიმეში აღმოჩნდა რიყის ქვის, არგილიტისა და ქვიშაქვის მოგრძო, ოვალური, ორმხრივ გახვრეტილი, გულსაკიდი ქვები, აგრეთვე მღვიმის დათვის გახვრეტილი კბილი, რომელსაც დაცვის ფუნქცია უნდა ჰქონოდა (კ. კალანდაძე, 1994). კეთილი და ავი სულების არსებობის რწმენა, ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში ჩასახული, არქეოლოგიურად დასტურდება ნეოლითის, ენეოლითისა და შემდგომ ხანეშიც. ეთნოგრაფიული მონაცემებით იგივე რწმენა დღემდე არსებობს.

თეთრი მღვიმის სარიტუალო დარბაზში ხარის რქისა და ხარის თავის მახლობლად აღმოჩნდა ქვის და თიხის ფალოსები. როგორც ჩანს, თეთრი მღვიმის ადამიანი, დიდ დედასთან ერთად თაყვანს სცემდა ნაყოფიერების მამრობით ღვთაებას და მის სიმბოლოებს - ხარს და ფალოსს. გვიანი ენეოლითის ხანაში უკვე იწყება მამრობითი ღვთაების კულტის გაძლიერება. ფალოსის კულტი საქართველოს სხვა ადგილებშიც დასტურდება: ახალქალაქში, მულახში, დიდგორში, კავთისხევში, დედოფლისწყაროში და სხვა.

ბერიკლდეების ნამოსახლარის საკულტო საგნები (შიდა ქართლი, ქარელის მუნიციპალიტეტი, მდ. ფრონეს და მტკვრის შესართავი). ენეოლითის ხანის ნივთები აღმოჩნდა ბერიკლდეების ნამოსახლარის ქვედა ფენაში: თიხის კვირისტავი, ზედაპირზე რადიალურად დაჭდეული სხივებით; დისკოები, გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხებისგან დამზადებული და საკულტო სადგარების ნამტვრევები.

(თ. კიღურაძე, 2011). საფიქრებელია, რომ სხივებიანი კვირისტავი და თიხის დისკოები მზის, ხოლო საკულტო სადგარები მთვარის კულტის არსებობაზე მიგვანიშნებს. შიდა ქართლის ენეოლითის ხანის ნამოსახლარებზე მზისა და მთვარის სიმბოლიკა არქეოლოგიურად დასტურდება.

რქებით შემკული საკურთხეველი ზემო ავჭალიდან (შიდა ქართლი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ავჭალა, მტკვრის მარცხენა ნაპირი). ავჭალის ჰესის მშენებლობისას, 10 მეტრის სიღრმეში შემთხვევით იპოვეს ხარის რქების ფორმის თიხის საკურთხეველი. საკურთხეველი სავარაუდოდ თარიღდება ენეოლითის ხანით (ა. კალანდაძე, 1980). საფიქრებელია, რომ ამ ადგილზე ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების თაყვანისცემის საკულტო რიტუალი სრულდებოდა.

ცხოველის თიხის ქანდაკება ძუძუანას მღვიმიდან (ზემო იმერეთი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. მღვიმევის მახლობლად). ძუძუანას კარსტულ მღვიმეში აღმოჩნდა მრავალფენიანი ნამოსახლარი. გამოვლენილია: კერამიკა, კერიები და თიხით ნაძერწი ცხოველის ფიგურა (კ. კალანდაძე, 1994). ცხოველის ჯიში გაურკვეველია. ეს ქანდაკება შესაძლოა ტოტემური ცხოველის თაყვანისცემის საგანი ყოფილიყო. ძუძუანას ნამოსახლარი თარიღდება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანით.

ითიფალური გამოსახულება არუხლოს გორიდან (ქვემო ქართლი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. არუხლო, მდ. ხრამის და მდ. მაშავერას შესართავი). არუხლოს გორაზე აღმოჩენილია კერამიკაზე გამოსახული დაბალი ბარელიეფი, ხელებაპყრობილი ადამიანი ითიფალური გამოსახულებით (გ. ჯავახიშვილი, 1984). მსგავსი ანთროპომორფული გამოსახულება აღმოჩნდა ნამოსახლარის მახლობლად გამოვლენილ ნახევრად მიწურებში, კერამიკის ნამტვრევზე (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, 1992). სავარაუდოდ, ჭურჭლის ნატეხებზე ადამიანები გამოსახულნი არიან ლოცვის დროს. გვიანი ენეოლითის ხანაში ჩნდება სათემო სალოცავები, შესაბამისად სათემო კულტმსახურება. უნდა ვიფიქროთ, რომ სათემო სამლოცველოებში კულტმსახურებას მამაკაცები ასრულებდნენ, განსხვავებით საოჯახო კულტმსახურებისგან, სადაც წამყვანი როლი დიასახლისს ეკუთვნოდა.

ბარელიეფი იმირის გორიდან (ქვემო ქართლი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. იმირი, შულავერის ღელის მარცხენა ნაპირი). იმირის გორაზე აღმოჩენილია თიხის ჭურჭელზე დაძერწილი ადამიანის სტილიზებული, ხელებაპყრობილი გამოსახულება. ფიგურა წელს ქვემოთ არ ჩანს, ჭურჭლის ფრაგმენტი მოტეხილია (გ. ჯავახიშვილი, 1984). არუხლოს გორის ბარელიეფის მსგავსად, შესაძლოა აქაც მლოცველი მამაკაცი იყოს გამოსახული. როგორც ჩანს, ენეოლითის ხანის ადამიანი ლოცვის დროს ხელებს მაღლა აღაპყრობდა. იმ დროს უკვე ნაყოფიერების ღვთაებანი ზეცაში ანუ ზესკნელში იყვნენ წარმოდგენილი და არა ტყეში, კლდეში, მიწაში ან წყალში.

მთვარის სიმბოლო ხრამის დიდი გორიდან (ქვემო ქართლი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყაჩაღანის მახლობლად, მდ. ხრამის მარჯვენა სანაპირო). ნამოსახლარის ქვედა ფენაში აღმოჩნდა სპილენძის ნახევარრკალი წაწვეტებული ბოლოებით (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, 1992.). საფიქრებელია, რომ ეს არის ახალი მთვარის სიმბოლო. არტეფაქტი მთვარის თაყვანისცემაზე მიგვანიშნებს. ამავე ნამოსახლარზე აღმოჩნდა კერამიკული მასალა, რომელზეც

გამოსახულია ნალისებრი ორნამენტი. სავარაუდოდ ესეც მთვარის სიმბოლოა. ენეოლითის ხანის გვიანდელ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულ ტომებში ისახება ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების კულტი, ხოლო მთვარე მისი ციური სიმბოლო იყო.

საკულტო ნივთები წოფის ნამოსახლარიდან (ქვემო ქართლი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. წოფი). ნამოსახლარში აღმოჩნდა გაურკვეველი მტაცებელი ცხოველის ეშვი, მსხვილ მხარეს გახვრეტილი. სავარაუდოდ ეს საგანი გამოიყენებოდა გულსაკიდად (ლ. ნებიერიძე, 2010). ავგაროზს დამცავი ფუნქცია ჰქონდა. ენეოლითის ხანაში და უფრო ადრეც ადამიანს სწამდა, რომ გულზე დაკიდებული განსაკუთრებული საგანი – გახვრეტილი ქვა, ძვალი, ლითონის ნივთი ან ეშვი, რომელზეც გარკვეული რიტუალი შესრულდა, მაგიურ ძალას ფლობდა და ავი სულებისგან დაიცავდა.

აქვე აღმოჩნდა თიხით ნაძერწი, მცირე ზომის ხარის ფიგურა, ზომა 4,1X2,5 სმ, რომელიც ერთ-ერთი უძველესია დღემდე აღმოჩენილ ხარის ქანდაკებათა შორის (ლ. ნებიერიძე, 2010). ნამოსახლარის ტერიტორიაზე არ აღმოჩნდა ნაგებობათა ნაშთები, გამოვლინდა სამეურნეო და შესაძლოა სარიტუალო ორმოები (დ. გოგელია, ლ. ჭელიძე, 1992). ხარის ფიგურები ნაპოვნია წინა აზიის უძველეს კულტურებში. სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს ტერიტორიაზე ხარის კულტი დასტურდება უკვე ენეოლითის ხანაში. ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების სიმბოლოები იყო ცაში – მთვარე და დედამიწაზე – ხარი. წოფის ნამოსახლარი თარიღდება ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევრით და გვიანი ენეოლითის ძეგლად არის მიჩნეული.

დასკვნა

წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითის ხანის ბინადარი მიწათმოქმედი და მესაქონლე საზოგადოება თაყვანს სცემდა ნაყოფიერების ღვთაებას, რომელიც თავდაპირველად მდედრობითი ბუნების ღვთაებად წარმოედგინათ, შემდეგ ისახება ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების კულტი და ბოლოს, ნეოლითი ხანის გვიან საფეხურზე ჩნდება ღვთისშვილ კვირიას კულტი. ენეოლითის ხანის დასასრულს უკვე არსებობდა უმაღლეს ღვთაებათა სამეული.

არქეოლოგიურად დასტურდება ნაყოფიერების მდედრობითი ღვთაების სიმბოლოები: თიხით ნაძერწი ქალის ფიგურები ხრამის დიდი გორის და შულავერის გორანამოსახლარებიდან, წრიული გამოსახულებები კერამიკაზე და სხივური ორნამენტით დამშვენებული კვირისტავები.

ასევე, არქეოლოგიურად დასტურდება ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების სიმბოლოები: მამაკაცის ითიფალური გამოსახულება თიხის ჭურჭლის ნატეხზე არუხლოს გორანამოსახლარიდან, ქვის და თიხის ფალოსები თეთრი მღვიმიდან, ხარის რქების ფორმის საკურთხეველი ზემო ავჭალიდან, ხარის ქანდაკება წოფის ნამოსახლარიდან. საინტერესოა, რომ ნაყოფიერების ღვთისშვილის სიმბოლური გამოსახულება ცხვრის ქანდაკება უკვე გვხვდება გვიანი ენეოლითის ხანის თეთრი მღვიმის სამლოცველო დარბაზში. ამით დასრულდა ადგილობრივ ღვთაებათა პანთეონში უმაღლესი ტრიადის შექმნა.

არქეოლოგიურად დასტურდება ენეოლითის ხანის ნაყოფიერების ღვთაებათა ასტრალური სიმბოლიკა: სფერული ფორმის ქვა იმირის გორის სამ-

ლოცველოდან, როგორც ნაყოფიერების ქალღვთაების ციური სიმბოლოს, მზის გამოსახულება. ასევე მზის, მზექალის სიმბოლოებად არის მიჩნეული კვირისტავები სამელე კლდის მღვიმიდან და ბერიკლდეების ნამოსახლარიდან. კვირისტავებზე გამოსახული სხივური ორნამენტი, უმეტეს შემთხვევაში, წაღმა ბრუნს გვიჩვენებს.

ნაყოფიერების მამრობითი ღვთაების ასტრალურ სიმბოლოს, მთვარეს უნდა განასახიერებდეს ბოლოებწაწვეტებული სპილენძის ნახევარრკალი, აღმოჩენილი ხრამის დიდი გორის ნამოსახლარზე და ნალის ფორმის ორნამენტი იმავე ნამოსახლარის თიხის ჭურჭელზე.

ნაყოფიერების ღვთისშვილების ასტრალურ სიმბოლოებს – ვარსკვლავებს უნდა განასახიერებდეს არუხლო I-ის სამაროვანზე აღმოჩენილ ჭურჭლის ყელზე ოთხ მხარეს გამოსახული ხუთ-ხუთი კოპი.

ენეოლითის ხანის ადამიანს სწამდა სულების არსებობა. ბუნების კეთილი და ავი სულების არსებობის არქეოლოგიურ დადასტურებად მიიჩნევა კენჭები არუხლოს გორიდან, რომლებზეც გამოსახულია „მომღიმარი“ და „საზარელი“ სახეები. თავის დროზე ეს სახეები წითელი ჟანგმიწით ყოფილა შეღებილი, რაც მათ საკულტო დანიშნულებას ადასტურებს. ენეოლითის ხანის ადამიანი ავი სულებისგან თავს იცავდა ავგაროზების საშუალებით – ქვის და ძვლის ავგაროზები და მღვიმის დათვის გახვრეტილი კბილი თეთრი მღვიმიდან, გახვრეტილი ეშვი წოფის ნამოსახლარიდან და სხვა.

წინაპართა სულების თაყვანისცემას გვიდასტურებს ნაცარში ნაპოვნი თიხის წრიული და ოვალური ფორმის მცირე ზომის კვერები თეთრი მღვიმიდან და არუხლოს გორიდან.

ლიტერატურა

1. Gogelia, D., Chelidze, L, (1992). *Eneolithic*, *Archaeology of Georgia*, Vol. II. (In Georgian);
2. Kalandadze, A. (1980). *Archaeological Monuments of Mtskheta (From Prehistoric Times to the Mid-First Millennium BC)*, Mtskheta, Vol. IV. (In Georgian);
3. Kalandadze, K. (1994). *White Cave*. (In Georgian);
4. Kikvidze, I. (1976). *Agriculture and Agricultural Cults in Ancient Georgia*. (In Georgian);
5. Kighuradze, T. (2011). *Neolithic and Eneolithic Cultures of Eastern Georgia*. (In Georgian);
6. Lortkipanidze, O. (2022). *At the Origins of Ancient Georgian Civilization*. (In Georgian);
7. Nebieridze, L. (2010). *The Eneolithic Culture of Tsopi*. (In Georgian);
8. Pkhakadze, G. (1992). *Eneolithic and Early Bronze Age in Western Georgia*, *Archaeology of Georgia*, Vol. II. (In Georgian);
9. Javakhishvili, G. (1984). *Anthropomorphic Plastic Art in Prehistoric Georgia*. (In Georgian).

UDC 903.23:2-58
SCOPUS CODE 1204
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-28-37

Cultic and Ritual Artifacts of The Chalcolithic Period

Aleqsander Nazgaidze Department of Archaeology and History of Georgia, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: aleqsandrenazghaidze@gmail.com

Vaja Sadradze Department of Archaeology and History of Georgia, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: vazhasadradze@gmail.com

Reviewers:
M. Dzneladze, Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technology and Social Sciences, GTU
E-mail: dzneladzemerabi@gmail.com
N. Javakhishvili, professor, Faculty of Humanities, Educational and Scientific Institute of History of Georgia, Foreign Member of the Latvian Academy of Science, TSU
E-mail nikolai.javakhishvili@tsu.ge

Abstract. Archaeological artifacts from the Chalcolithic period discovered within the territory of Georgia provide compelling evidence for examining the belief systems and ritual practices of prehistoric communities. Anthropomorphic clay figurines, stone and clay tokens, spindle whorls, amulets, and various symbolic motifs are linked to the worship of fertility, natural elements, and celestial powers. These items, primarily ritual in function, offer significant insight into the spiritual worldview of Chalcolithic populations.

Evidence indicates that individuals of this period venerated fertility deities, natural forces, and the spirits of their ancestors. Female fertility is symbolized by clay figurines, most commonly found in hearth ashes or in close proximity to hearths. Male fertility deities are represented through ithyphallic depictions on pottery fragments, stone and clay phalluses, altars shaped like bull horns, and bull figurines sculpted from clay. Sheep figurines, frequently encountered in Late Chalcolithic contexts, are interpreted as symbols of the supreme fertility deity or divine offspring.

The concept of a divine triad is evident in Late Chalcolithic Georgian belief systems, reflecting a structured pantheon. Astral representations of fertility deities are also archaeologically attested, taking the form of sun, moon, and star symbols. Notable examples include a stone sphere from Imiri Gora; radiating clay spindle whorls from the Samele Cliff Cave and the Berikldeebi settlement; a copper crescent from the Khrami Didi Gora site; and a motif of five knobs on a burial vessel from the Arukhlo I necropolis.

The Chalcolithic worldview encompassed belief in both benevolent and malevolent natural spirits. This is evidenced by pebbles from Arukhlo Gora engraved with smiling and menacing faces, originally painted with red ochre, indicating their cultic use. Amulets served as protective charms against harmful spirits. Such items, crafted from stone and bone—including perforated bear teeth—were discovered in the White Cave prayer hall and at the Tsopi settlement.

Veneration of ancestral spirits is supported archaeologically by circular and oval-shaped clay tokens found in ashes at the White Cave and Arukhlo Gora. These items were likely ritual offerings intended to secure the favor of ancestral spirits.

Keywords: Amulets; Chalcolithic period; Cultic artifacts; Fertility deities; Sanctuary; Sculptures; Settlement.

განხილვის თარიღი 08.05.2025
შემოსვლის თარიღი 22.05.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025